მესამე კლასი

ჯამური ქულა: 100
საკითხების რაოდენობა: 40

ტესტი შედგება 4 სავარჯიშოსაგან. თითოეული მათგანი ამოწმებს მოსწავლის სხვადასხვა ტიპის ცოდნას - სიტყვათა ამოცნობა ილუსტრაციების მიხედვით, განსხვავებული სიტყვის ამოცნობა, თარგმნა და საბაზისო ცოდნას მარტივი წინადადებების დონეზე.

#1 ილუსტრაციების ამოცნობა — Choose the correct answer according to the picture

ქულა: 30
საკითხი: 15 (თითო 2 ქულა)

პირველ სავარჯიშოში მოცემულია სურათები და თითოეულზე სამი ვარიანტი. მოსწავლემ უნდა აირჩიოს სწორი სიტყვა, რომელიც აღწერს ფოტოზე ნაჩვენებ ობიექტს.

მაგალითი:

It is a …

A. dog B. chick C. cow
სწორი პასუხია **C. cow**, რადგან ფოტოზე გამოსახულია ძროხა.

#2 განსხვავებული სიტყვის პოვნა - Find the word that is different from the others

ქულა: 20
საკითხი: 5 (თითო 2 ქულა)

მეორე სავარჯიშოში მოსწავლე უნდა დააკვირდეს სამ სიტყვას და იპოვოს ის, რომელიც სხვებისაგან განსხვავდება - მნიშვნელობით არ ეკუთვნის ერთსა და იმავე კატეგორიას.

მაგალითი:
A. a cat B. a dog C. a banana
სწორი პასუხია **C. a banana**, რადგან a cat და a dog ცხოველებია, ხოლო a banana არის ხილი.

#3 სიტყვების თარგმნა - Match A, B or C with the Georgian translation

ქულა: 30
საკითხი: 10 (თითო 3 ქულა)

ამ სავარჯიშოში მოსწავლემ უნდა შეარჩიოს მოცემული ქართული სიტყვის სწორი ინგლისური თარგმანი.

მაგალითი:
ავტობუსი: A. a bus B. a car C. a house
სწორი პასუხია **A. a bus**.

#4 ზოგად კითხვებზე პასუხის გაცემა - Choose the best answer to the questions

ქულა: 30
საკითხი: 10 (თითო 3 ქულა)

ამ დავალებაში მოცემულია ათი მარტივი შეკითხვა. ეს ნაწილი ამოწმებს მოსწავლის ზოგად ცოდნას. კითხვები ეხება ყოველდღიურ თემებს, საგნებს, მნიშვნელობებს და ა.შ.

მაგალითი:

What do you use to write on paper? - რას იყენებ ფურცელზე საწერად?
A. a pen B. a fork C. a spoon
სწორი პასუხია **A. a pen**.

ტესტის შემდეგ დამატებით მოცემულია **ბონუს სექცია**, რომელიც აერთიანებს 5 შეკითხვას, თითო 4 ქულიანს.
ეს ნაწილი ჩვენი პარტნიორებისგანაა და საშუალებას აძლევს მოსწავლეს, ტესტში დაშვებული შეცდომები აანალიზოს დამატებითი ქულების საშუალებით.

დამატებით, სამეცადინოდ პროფილში შეგიძლიათ ნახოთ ოლიმპიადისათვის მოსამზადებელი ტესტები

მოსამზადებელ ტესტებს ოლიმპიადის I ტურის მსგასვი სტრუქტურა აქვს, I ტურის მსგავსად მოსწავლეს ეძლევა 1 საათი ტესტის საწერად და რაც მთავარია, აქვს შესაძლებლობა გადახედოს დაშვებულ შეცდომებს და ოლიმპიადის I ტურზე გაითვალისწინოს/უკეთ მოემზადოს კონკრეტულ საკითხში.